საქართველოს მთავრობის

დადგენილება №7

2026 წლის 20 იანვარი

ქ. თბილისი

„ტექნიკური რეგლამენტის „სამედიცინო დასხივების სფეროში რადიაციული უსაფრთხოების მოთხოვნების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 აპრილის №226 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტექნიკური რეგლამენტის „სამედიცინო დასხივების სფეროში რადიაციული უსაფრთხოების მოთხოვნების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 აპრილის №226 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/04/2022, 300160070.10.003.023436) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის „სამედიცინო დასხივების სფეროში რადიაციული უსაფრთხოების მოთხოვნების“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. რენტგენოდიაგნოსტიკური კაბინეტის განთავსება დაუშვებელია საბავშვო საგანმანათლებლო და სასწავლო დაწესებულებებში. დასაშვებია დაბალი გამოსხივების დოზის მქონე რენტგენოდიაგნოსტიკური დანადგარების – დენტალური რენტგენოდიაგნოსტიკური, მამოგრაფიული დანადგარებისა და დენსიტომეტრების გამოყენება სამედიცინო დაწესებულებებში, რომლებიც განთავსებულია საცხოვრებელ შენობებში, იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოსაზღვრე სათავსები გამოიყენება საცხოვრებლად. იმ პირობით, რომ:

ა) განხორციელებულია რადიაციული დაცვის შეფასება, მათ შორის, რადიაციული დაცვის გაანგარიშება;

ბ) უზრუნველყოფილია მოსახლეობისათვის დადგენილი დასაშვები დოზის ზღვრული მნიშვნელობების დაცვა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

გ) დაცულია რადიაციული დაცვის მოთხოვნები, მოქმედი ტექნიკური რეგლამენტებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**